რას არის ღირებულებითი განათლება ?

მოამზადა მაია ზიბზიბაძემ

რა არის ღირებულებითი განათლება?

სწორი ღირებულებებით აღჭურვილი პიროვნების ჩამოყალიბება ყველგან და ყოველთვის წარმოადგენდა განათლების სისტემის მთავარ მისიას. თუმცა დღეს, გლობალიზაციის მასშტაბურ ეპოქაში, ამ ტიპის განათლებამ მეტი მნიშვნელობა და წონა შეიძინა. სულ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა მოთხოვნა ისეთი სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, რომელიც არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ მოსწავლის ჰოლისტურ, პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. განათლება, რომელიც ემყარება ღირებულებებს, აყალიბებს ეთიკურ ცნობიერებას, სოციალურ პასუხისმგებლობას და კრიტიკულ აზროვნებას (UNESCO, 2015).

ღირებულებითი განათლება, როგორც სიტყვათა შეთანხმება, ზუსტად გამოხატავს არსს. ის მოიაზრებს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების გადაცემას შემსწავლელისათვის, რომლებიც უკავშირდებიან როგორც ცალკეულ პიროვნებას, ასევე მთლიანად საზოგადოებას. ამ კუთხით, ღირებულებითი განათლება ფუნდამენტური, სტრატეგიული მიმართულებაა, რომლის მიზანია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემა, არამედ მოსწავლის პიროვნული და მოქალაქეობრივი ფორმირება. ის ემყარება იდეას, რომ სკოლა და ზოგადად, საგანმანათლებლო გარემო ხელს უნდა უწყობდეს ასეთი ადამიანის ჩამოყალიბებას.

მეორე მხრივ, ღირებულებითი განათლება შეიძლება განვიხილოთ როგორც პედაგოგიური მიდგომა. არსებობს სხვადასხვა მეთოდი, რომელიც მოსწავლის ღირებულებითი განათლების მიზნით გამოიყენება. მათ შორისაა მეთოდები, რომლებიც საგნობრივი შინაარსის გამოყენებით ასწავლის ღირებულებების გააზრებას და ხელს უწყობს რეალურ ცხოვრებაში მათი გამოყენების უნარის განვითარებას. მნიშვნელოვანი მომენტია, რომ, აღნიშნული მეთოდებით, ღირებულებითი განათლება შესაძლებელია განხორციელდეს ყველა საგანში, იმ მასწავლებლების მიერ, რომლებიც აცნობიერებენ ღირებულებითი განათლების მნიშვნელობას და შეუძლიათ გამოიყენონ შესაბამისი პედაგოგიური მეთოდები და ინსტრუმენტები. ამგვარი მიდგომის ფარგლებში ღირებულებითი განათლება წარმოადგენს სასწავლო პროცესს, რომელიც ერთდროულად ორი მიზნის მიღწევას გეგმავს: ეხმარება მოსწავლეს, დაეუფლოს განსაზღვრულ საგნობრივ ცოდნას და მეორე მხრივ, გაიაზროს უნივერსალური თუ პიროვნული ფასეულობები, როგორიცაა სამართლიანობა, პატივისცემა, პასუხისმგებლობა, ზრუნვა სხვა ადამიანებზე და გარემოზე, შრომისმოყვარეობა და ა.შ.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებულ სასწავლო პროცესში ღირებულებებსა და ცოდნას შორის ადგილების გადანაწილება არასწორი იქნებოდა. ღირებულებითი განათლება ტოლფას მნიშვნელობას ანიჭებს ორივეს, რადგან თანაბრად უნდა შეუწყოს ხელი პიროვნების ჩამოყალიბებას არა მხოლოდ ცოდნის მატარებელ ინდივიდად, არამედ აქტიურ, ემპათიურ, პასუხისმგებელ მოქალაქედ. ცნობილი გამოთქმის მიხედვით: „ცოდნა ღირებულებების გარეშე საშიშია, ღირებულებები ცოდნის გარეშე - ბრმაა“ (Patry,

Weyringer, 2002). უნდა ითქვას ისიც, რომ შეძენილი ფასეულობები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრირებისათვის, არამედ საჭიროა შემსწავლელის აკადემიურ წარმატების, ჰოლისტური განვითარების, სრულფასოვანი სოციალური ცხოვრების მისაღწევად.

რა იგულისხება "ღირებულებებში"?

ღირებულებები, (values) - საზოგადოების ან/და ინდივიდის მიერ აღიარებული პრინციპები და იდეალებია, რომლებიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილებების მიღებაზე, ქცევაზე, დამოკიდებულებებზე, სხვა სიტყვებით, განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების სტილს. ისინი ერთგვარი შინაგანი ცენზორებია - გვეხმარებიან, განვსაზღვროთ, განვასხვაოთ და შევაფასოთ კარგი და ცუდი, სწორი და არასწორი, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო.

არსებობს რამდენიმე, მეცნიერულ დონეზე დამუშავებული კლასიფიკაცია ღირებულებებისათვის. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მიღებულია შვარცის ღირებულებების უნივერსალური თეორია, რომელიც მე-20 საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. ამ უკანასკნელის მიხედვით, არსებობს 10 ძირითადი ღირებულება, რომელიც უნივერსალურია და ახასიათებს პრაქტიკულად ყველა კულტურას (Schwartz, 1992).

1. **კეთილგანწყობა, ზრუნვა** - სხვებზე ზრუნვა, დახმარების სურვილი და თანაგრძნობა (Care, benevolence**)** ;
2. **უნივერსალიზმი** - თანასწორობის განცდა, ტოლერანტობის აღიარება, ბუნებისა და ადამიანებისადმი პატივისცემა (Universalism);
3. **ტრადიცია** - კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობის პატივისცემა (Tradition);
4. **თვითმართვა** - თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განცდა, არჩევანის თავისუფლება, საკუთარი თავის პოვნისა და დაფასების სურვილი (Self-direction);
5. **უსაფრთხოება** - დაცული გარემოს შექმნის სურვილი, მოწესრიგებულობისა და სტაბილურობისაკენ სწრაფვა (Security);
6. **კონფორმულობა** - სოციალური ნორმების დაცვის სურვილი, წესრიგის შენარჩუნებისაკენ სწრაფვა (Conformity);
7. **მიღწევა** - წარმატებისკენ ლტოლვა, რეალიზებისა და სოციალური აღიარების სურვილი (Achievement);
8. **ძალა** - სტატუსისკენ ლტოლვა, გავლენის მოპოვებისა და კონტროლის მექანიზმების დაუფლების სურვილი (Power);
9. **სტიმულაცია** - სიახლეებისა და თავგადასავლების ძიება, გამოწვევებთან ბრძოლის წყურვილი (Stimulation**);**
10. **ჰედონიზმი** - ცხოვრებისგან სიამოვნების მიღების სურვილი (Hedonism) .

Schwartz-ის მოდელს წრიული ფორმით გამოსახავენ, რათა ასახონ მიმართება ღირებულებებს შორის. კერძოდ, ღირებულებები, რომლებიც ერთმანეთთან ახლოსაა განლაგებული, ხშირად თავსებადია, ხოლო მოპირდაპირე ღირებულებები ერთმანეთთან

შესაძლოა კონფლიქტშიც მოდიოდეს. მაგალითად: ღირებულებები - თვითდამკვიდრება და სტიმულაცია ასახავს დამოუკიდებლობასა და სიახლეების ძიებას. ამავდროულად, თვითდამკვიდრება ეწინააღმდეგება კონფორმულობასა და ტრადიციას. მიღწევა და ძალა ეწინააღმდეგება უნივერსალიზმს და კეთილგანწყობას (ზრუნვას). დღეისათვის აღნიშნული მოდელი განახლებული და გაფართოებულია შვარცისა და კოლეგების მიერ (Schwartz et al. 2012).



ღირებულებების განხილვა შესაძლებელია განვითარების კონტექსტშიც და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - განათლებასთან კავშირში (Weinberger et al, 2008). აღნიშნული მოდელი ეფუძნება იდეას, რომ ღირებულებებს ადამიანი იძენს ცხოვრების განმავლობაში მიღებული გამოცდილების გავლენით.

გადის რა მორალური განვითარების ეტაპებს, ინდივიდი ეტაპობრივად იძენს შემდეგ ღირებულებებს:

პრაგმატული ღირებულებები - პირველადი, კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე ღირებულებებია, რომლებიც ხშირად უკავშირდება კონკრეტული შედეგის მიღწევას, ან პრობლემის გადაჭრის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებას/ქცევას. ასეთებია, მაგალითად, კომფორტი, უსაფრთხოება, პირადი სარგებელი. პრაგმატული ღირებულებები გამომდინარეობს ინდივიდის პირადი ინტერესებიდან. შესაბამისად, შესაძლოა, არ იყოს სიღრმისეულად გააზრებული ან მოკლებული იყოს ეთიკურ საფუძველს. მაგალითად: „... კარგია, რადგან ჩემთვის მისაღები და სასარგებლოა...“, „გავუფრთხილდები სახელმძღვანელოს, რადგან

მჭირდება...“, „ვიზრუნებ სკოლის ეზოს სისუფთავეზე, რადგან თავად ვსწავლობ აქ (სხვაგან ამაზე ნაკლებად ვიზრუნებ)....“

ინსტრუმენტული ღირებულებები - ინსტრუმენტული ღირებულებები შეიძლება განისაზღვროს როგორც ფასეულობები, რომლებიც მიზნის მისაღწევ საშუალებად გვევლინება და ძირითადად, გამოყენებითი ასპექტი აქვთ. მაგალითად: დისციპლინა, სიზუსტე, შრომისმოყვარეობა, განათლებისკენ სწრაფვა, ორგანიზებულობა. ყველა ეს თვისება ფასობს იმიტომ, რომ ხელს უწყობს გარკვეული საბოლოო მიზნის მიღწევას. მაგალითად: „მე ახლა არ უნდა დავაგვიანო, რადგან პუნქტუალურობა დამეხმარება, მოვიპოვო იმ ადამიანების პატივისცემა და ნდობა, ვინც მელოდება“. „მე მუდმივად ვწერ ჩანაწერებს, რადგან ეს ბევრად მიმარტივებს, დიდი მოცულობის ინფორმაცია მოკლე დროში გავიმეორო“.

მორალური ღირებულებები - ღირებულებების ყველაზე მაღალი საფეხურია. მათ მატარებელ პიროვნებას გაზიარებული აქვს უნივერსალური ეთიკური პრინციპები. მისთვის მთავარი ხდება სამართლიანობა, ღირსება, პატივისცემა, თანასწორობა, თანაგრძნობა, რასაც იცავს ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, მათ შორის, პიროვნულ დონეზე, არახელსაყრელ სიტუაციებშიც კი - განურჩევლად შედეგისა, რომელიც შეიძლება დადგეს. სხვა სიტყვებით, მორალური ღირებულებები ნაკარნახევია არა სარგებლის, არამედ უნივერსალური მორალის საფუძველზე, საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერების საფუძველზე. ეს ღირებულებები უკვე პიროვნების თავისუფალი არჩევანია და არა - მიზნის მიღწევის საშუალება. მაგალითად: „ბუნებაზე ზრუნვა საჭიროა, ვინაიდან ის სიცოცხლის წყაროა ყველა ცოცხალი არსებისთვის, ადამიანის ჩათვლით“; „ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ განურჩევლად წარმომავლობისა და პიროვნული თვისებებისა, რადგან ყველა ადამიანი არის თანაბარუფლებიანი და აქვს თანდაყოლილი ღირსება“.

ამგვარად, პრაგმატული ღირებულებები – ორიენტირებულია პირად სარგებელზე, ინსტრუმენტული - განპირობებულია სოციალური კონტექსტით და მიზნის მიღწევის საშუალებაა, ხოლო მორალური - წარმოადგენს ღირებულებებს, რომლებსაც ადამიანი იზიარებს შინაგანად, გარე ზეგავლენებისგან დამოუკიდებლად.

ალფრედ ვეინბერგერმა პრაგმატული, ინსტრუმენტული და მორალური ღირებულებების კლასიფიკაცია გადმოიტანა საგანმანათლებლო კონტექსტში (კერძოდ, VaKE–ის მეთოდის ჩარჩოში, იხ. ქვემოთ). მისი მოდელის მიხედვით სწავლა-სწავლების პროცესში ღირებულებების იერარქია შემდეგია:

- **პრაგმატული ღირებულებები** - განსაზღვრავენ სწავლა-სწავლების პროცესში მისაღწევ რაიმე მიზანს, რომელსაც ისახავს მოსწავლე / მასწავლებელი;
- **ინსტრუმენტული ღირებულებები** – განსაზღვრავენ გზებს სასწავლო მიზნის მისაღწევად - მეთოდებს, აქტივობებს, რესურსებს და სხვ;
- **მორალური ღირებულებები** – განსაზღვრავენ (უხილავ) საზღვრებს, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს პროცესი.

განხილული იერარქია გვიჩვენებს, რომ ღირებულებები ერთმანეთზეა დამოკიდებული: პრაგმატული ღირებულებები ქმნიან განვითარების საფუძველს, ინსტრუმენტული - უზრუნველყოფს განვითარების პროცესს, ხოლო მორალური - ჩარჩოებს, რომლის შიგნითაც მოქმედებს პიროვნება.

აღნიშნული ხედვა განსაკუთრებით აქტუალურია განათლების სპეციალისტებისთვის, რადგან იძლევა ღირებულებითი განათლების დაგეგმვის საშუალებას. მოდელი გამოსადეგია იმის გასაანალიზებლად, თუ სად იმყოფება მოსწავლე ღირებულებით განვითარებაში და როგორ უნდა გადავიდეს შემდეგ საფეხურზე. ღირებულებითი განათლება უნდა დაეხმაროს მოსწავლეს პრაგმატულიდან ინსტრუმენტულ ღირებულებებზე გადასვლაში, საბოლოოდ კი - მორალურ ღირებულებათა გააზრებაში. ვინაიდან ღირებულებიდან ზნეობამდე მისასვლელად საჭიროა განვითარების ეტაპების გავლა და პრაქტიკული გამოცდილება, ამის საშუალება მოსწავლეებს უნდა მივცეთ სკოლაში.



Weinberger -ის ღირებულებათა იერარქია (Weinberger და სხვ., 2008)

ვეინბერგის მოდელი არ გამორიცხავს ზრდასრულ ადამიანში სამივე ტიპის ღირებულების თანაარსებობას. პირიქით - ზრდასრულ, ღირებულებით მომწიფებულ ადამიანში ხშირად გვხვდება ამ ღირებულებების ერთდროული თანაარსებობა. მოდელი აღწერს ევოლუციურ ტრაექტორიას, ანუ ღირებულებების განვითარების დინამიკას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მომდევნო საფეხურზე გადასვლისას წინა საფეხურები ქრება. ადამიანი შეიძლება აფასებდეს პრაგმატულ სარგებელს (საკუთარი პროფესიული განვითარება), იცავდეს ინსტრუმენტულ ღირებულებებს (სოციალურ ნორმებს, გუნდურ პასუხისმგებლობას) და

ამავდროულად, ამ პროცესში ხელმძღვანელობდეს მორალური ღირებულებებით (სამართლიანობა, თანასწორობა და სხვ.). საფეხურების თანმიმდევრობა გულისხმობს პრიორიტეტულობას და არ გამორიცხავს ერთმანეთს.

საინტერესოა ისიც, რომ ერთი და იგივე ღირებულება სხვადასხვა კონტექსტში შესაძლებელია ჩაითვალოს როგორც პრაგმატულ, ასევე ინსტრუმენტულ ან მორალურ ღირებულებადაც კი. მაგალითად, პატიოსნება შეიძლება იყოს მორალური ღირებულება - როგორც ზნეობრივი პრინციპი, მაგრამ, ამავდროულად, იყოს ინსტრუმენტულიც - როგორც სანდოობის მოპოვების საშუალება. შეიძლება სამართლიანობა გამოიჩინო არა მხოლოდ მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, არამედ იმიტომაც, რომ ის იმუშავებს მოცემულ სიტუაციაში (ინსტრუმენტული ღირებულება).

ამგვარად, ვაინბერგერის მიხედვით პრაგმატული, ინსტრუმენტული და მორალური ღირებულებები დინამიკურად ურთიერთდაკავშირებულია: ჩვენ ვმოქმედებთ ინსტრუმენტული ღირებულებებით, რათა მივაღწიოთ კონკრეტულ პრაგმატულ მიზნებს, მაგრამ ჩვენი მორალური ფასეულობები განსაზღვრავს, თუ რისკენ მივდივართ და რამდენად მართებულად ვიქცევით ამ გზაზე მორალურ პრინციპებთან მიმართებაში.

რომელი ღირებულებებია ძირითადი?

კითხვის ამგვარი დასმა იმთავითვე არასწორია, რადგან ამა თუ იმ კონტექსტში ყველა ღირებულება მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, ითვლება, რომ მორალური ღირებულებების გამომუშავება და მათი ცხოვრებაში გატარება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პრაგმატული და ინსტრუმენტული ღირებულებებისა. საკუთარ თავთან და საზოგადოებასთან ჰარმონიაში ცხოვრება სწორედ ამ რანგის ღირებულებების ფლობის შედეგად არის შესაძლებელი: პასუხისმგებლობა, პატივისცემა, ზრუნვა, სამართლიანობა, გარემოზე ზრუნვა, გულწრფელობა, თანაგრძნობა, მშვიდობისკენ სწრაფვა და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესში ეს ღირებულებები აღქმული უნდა იყოს არა როგორც როგორც "შესასწავლი მასალა", არამედ როგორც კონტექსტი, რომლის გამოყენებითაც ვაწოდებთ მოსწავლეებს კონკრეტულ საგნობრივ ცოდნას. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ღირებულებები მივაწოდოთ არა მტკიცებითი ფორმით - „სამართლიანობა მნიშვნელოვანია ყველასათვის", რათა ის არ აღიქვან თავსმოხვეულად, არამედ მივცეთ ამ დასკვნის გამოტანის საშუალება კონკრეტული კონტექსტის განხილვის შედეგად (Patry et al, 2007).

როდის და როგორ ფორმირდება ღირებულებები?

ღირებულებების ფორმირება იწყება ადრეულ ასაკშივე ოჯახური და სოციალური გავლენების შედეგად, მაგრამ ისინი განსაკუთრებით აქტიურად ვითარდება მოზარდობის პერიოდში, როდესაც ინდივიდი აქტიურად ეძებს საკუთარ იდენტობას და ავითარებს საკუთარ მორალურ ხედვას (Tompson et al, 2025;. Freitas, 2022).

მოზარდობის დიდ ნაწილს მოზარდი სკოლაში ატარებს. შესაბამისად, სასკოლო გარემოს, ადამიანებს და კონკრეტულ სასწავლო საგნებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ღირებულებების შეძენასა თუ გაღრმავებაში. პრაქტიკულად, ყველა საგანს გააჩნია ეთიკური და სოციალური განზომილებები, რომლითაც მჭიდროდ უკავშირდება რეალურ ცხოვრებას, თანამედროვეობას და იძენს აქტუალური სასწავლო კონტექსტის მნიშვნელობას.

როგორ ვასწავლოთ ღირებულებები ?

ღირებულებითი განათლების პედაგოგიკა აერთიანებს როგორც ტრადიციულ, ასევე სრულიად ახალ და კვლევაზე დაფუძნებულ მეთოდებს. არსებობს არაერთი სტრატეგია და თეორიული ჩარჩო, რომელიც ამ მიზნით გამოიყენება.

ქვემოთ მოცემულია ღირებულებით განათლებაში გამოყენებული ძირითადი მეთოდებისა და მიდგომების ჩამონათვალი მოკლე განმარტებებთან ერთად:

1. **დისკუსიაზე დაფუძნებული მიდგომები** - პირველ ყოვლისა, ეს არის კარგად ცნობილი სოკრატული დიალოგი, ანუ მართული კითხვები დასკვნამდე მისასვლელად; ურთიერთსაწინააღმდეგო ღირებულებების შემცველი რეალური ქეისების განხილვა და არგუმენტირება დილემების გადაჭრის მიზნით.

2. **რეფლექსიური დღიურის წარმოება** - პიროვნულ ღირებულებების განხილვის, თვითშემეცნებისა და თვითშეფასების მიზნით;

3. **თხრობითი, ლიტერატურაზე დაფუძნებული მიდგომები** - მოთხრობების, ბიოგრაფიებისა და იგავების გამოყენება პერსონაჟის დასახასიათებლად ღირებულებით კონტექსტში, მხატვრული და სამეცნიერო ტექსტების გამოყენება ეთიკური ასპექტების განსახილველად, ადამიანური გამოცდილების გასაანალიზებლად.

4. **მორალური განვითარების თეორიებზე დაფუძნებული მიდგომები -** კოლბერგის (Lawrence Kohlberg, 1950s–1980s) მორალური განვითარების თეორიაზე დაფუძნებით მოსწავლეებისთვის რთული ეთიკური დილემების შეთავაზება და მათი მორალური აზროვნების განვითარება; რესტის (James Rest, 1986) ოთხკომპონენტიანი მოდელის შესაბამისად მოსწავლეებში მორალური მგრძნობელობის გაზრდა, მორალურად გამართლებული გადაწყვეტილების ხელშეწყობა, „მორალური მოტივაციის“ ამაღლება (პრიორიტეტის მინიჭება მორალური გადაწყვეტილებისათვის და არა საკუთარი ინტერესისა და საზოგადოებისთვის მიღებული ნორმებისთვის) და დამოკიდებულების მოქმედებაში გამოხატვის ხელშეწყობა.

5. **მოქმედებაზე და მონაწილეობაზე დაფუძნებული მიდგომები** - მოხალისეობრივი ჩართულობა სათემო ღონისძიებებში; მონაწილეობა სოციალურ პროექტებში; კლასში დემოკრატიული პრინციპების (მაგ., ხმის უფლება, სამართლიანობა, მონაწილეობა) განხილვა კლასის/სკოლის მმართველობის ფარგლებში.

6. **ინტეგრირებული, ინტერდისციპლინარული, გლობალური მიდგომები** - მშვიდობის სწავლება, რომელიც ფოკუსირდება ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ აქტივობებზე, კულტურათშორისი გაგებისა და კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობაზე, ემპათიის განვითარებაზე; გლობალური მოქალაქეობის განათლება (GCED), რომელიც ასწავლის ადამიანის უფლებებს, მდგრადობის მნიშვნელობასა და გლობალურ პასუხისმგებლობას,

7. **Vake (Values and Knowledge Education)** მეთოდი - წარმოადგენს სპეციფიკურ მიდგომას, რომელიც იყენებს მორალური ხასიათის დილემებს, ერთი მხრივ, ღირებულებების განვითარების, მეორე მხრივ, ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად. ეფუძნება კონსტრუქტივისტული სწავლის თეორიასა და მორალური განათლების პრინციპებს.

როგორც ვხედავთ, მიდგომები და ინსტრუმენტები ღირებულებითი განათლების განსახორციელებლად საკმაოდ მრავალფეროვანია. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება ცოდნა თითოეულის სპეციფიკის შესახებ, არჩევანის გაკეთება და ბოლოს, ეფექტიანი გამოყენება სხვადასხვა საგნის კონტექსტში დასანერგად, ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში ისეთი სახით, რომ, საგნობრივი კომპეტენციების ფორმირებასთან ერთად, ხელი შეეწყოს მოსწავლის ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებასაც.

გამოყენებული წყაროები:

1. UNESCO Publishing. (2015). *Global citizenship education: Topics and learning objectives*. Paris: UNESCO Publishing.
2. Patry, J.-L., & Weyringer, S. (2002). *Values and knowledge education: An approach to moral development*. [Publication details not fully specified].
3. Schwartz, S. H. (1992). Universals in the content and structure of values: Theoretical advances and empirical tests in 20 countries. *Advances in Experimental Social Psychology, 25*, 1–65. https://doi.org/10.1016/S0065-2601(08)60281-6
4. Schwartz, S. H., et al. (2012). Refining the theory of basic individual values. *Journal of Personality and Social Psychology, 103* (4), 663–688. https://doi.org/10.1037/a0029393

5. Weinberger, A., et al. (2008). Educating moral sensibilities in urban schools. In *Professionals' ethos and education for responsibility* (pp. 107–125). Brill. https://brill.com/display/book/edcoll/9789004367326/BP000014.xml?language=en
6. Patry, J.-L., Weinberger, A., & Weyringer, S. (2007). Combining values and knowledge education (VaKE): An approach to teacher education for professional ethics. In A. Craft, H. Gardner, & G. Claxton (Eds.), *Creativity, wisdom and trusteeship: Exploring the role of education* (pp. 145–160). Trentham Books.
7. Tompson, S. E., Schmidt, V. H., Bardi, A., & Read, J. A. (2025). Children's personal values and their behavior in the classroom in the early elementary school years: Mapping longitudinal trajectories. *European Journal of Psychology of Education*. Advance online publication. https://doi.org/10.1007/s10212-025-00966-2
8. Freitas, M. D., van der Graaff, N., Schwartz, S. H., Bardi, A., & Schmidt, P. (2022). Development of intraindividual value structures in middle childhood: A multicultural and longitudinal investigation. *Journal of Personality*. Advance online publication. https://doi.org/10.1111/jopy.12738